



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

14 ნოემბერი 2022 წელი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვლადიმერ კონსტანტინიძეს

ბატონო ვლადიმერ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

აღსანიშნავია, რომ წინა აუდიტის (2018 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) შედეგად გაცემული უარყოფითი დასკვნის შემდგომ, პირობითი დასკვნა, სამინისტროს აღირცხვა-ანგარიშგების პროცესის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორის მოადგილე

დავით გოგიჩაიშვილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ხელმძღვანელობას**

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშების აუდიტი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	13
საკონტაქტო ინფორმაცია.....	15

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აპარატი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დიპლომატიური დაწესებულება – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1. რეკომენდაციები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1.1 მოთხოვნების აღრიცხვა და კონტროლი

აუდიტის მიზნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსზე რიცხული 14,390,240 ლარის მოკლევადიანი მოთხოვნებიდან 1,082,473 ლარის დავალიანებები¹ არ ასახავს რეალურ ოდენობას, ვინაიდან ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი დაფარვა ნაკლებადაა მოსალოდნელი, მათ შორის, ზოგიერთ დავალიანებაზე წარმოშობის დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება და დებიტორებიც არ ადასტურებენ დავალიანების თანხებს. აუდიტის პროცესში ასევე იდენტიფიცირებულია 111,988 ლარის დავალიანებები,² რომელთა დასაფარად არ არის განხორციელებული სათანადო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიურ დაწესებულებებში³ დებიტორ-კრედიტორების ინვენტარიზაციის პროცესი არასრულყოფილად მიმდინარეობს, რადგან საინვენტარიზაციო კომისიები არ ახორციელებენ დავალიანებების რეალურობის სათანადოდ შემოწმებას, ჩატარებული ღონისძიებების ანალიზს, დაფარვის ალბათობების შეფასებას და დასკვნების მომზადებას მათი ჩამოწერის თაობაზე, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

აპარატის ბალანსზე ირიცხება 2,245,117 ლარის მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთა დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ ბენეფიციარებთან ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით წარედგინება სამინისტროს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს.

აუდიტის მიმდინარეობისას, ბენეფიციართა მიმართ რიცხული დებიტორული დავალიანების ნაშთის დასტურის მიზნით, დეპარტამენტს გაეზავნა შესაბამისი წერილები, თუმცა პასუხი არ მიგვიღია. შედეგად, ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,245,117 ლარის მოთხოვნების არსებობასა და სისწორეში.

იტალიასა და საფრანგეთში საქართველოს საელჩოების ბალანსზე რიცხული ოფისის იჯარის საგრანტო თანხები 279,619 ლარის ოდენობით, ნაცვლად

¹ დავალიანებების უმეტესი ნაწილი წარმოშობილია სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების მიერ „მივლინების“ მუხლით ავანსად გაცემული თანხების შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობით და ირიცხება შემდეგი დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსებზე: აშშ-ში, ესპანეთში, საფრანგეთში, ავსტრიაში და იტალიაში საქართველოს საელჩოები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობები.

² დავალიანებების უმეტესი ნაწილი წარმოშობილია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად უწყების ყოფილ თუ მოქმედ თანამშრომლებზე დარიცხული თანხებით და ირიცხება შემდეგი დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსზე: საქართველოს საელჩოები ეგვიპტეში, ისრაელსა და ბელგიაში.

³ გამონაკლისია საფრანგეთში საქართველოს საელჩო, სადაც საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილია დასკვნა დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე, თუმცა ხელმძღვანელობის მიერ არ არის მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

გრძელვადიანი მოთხოვნებისა, შეცდომით ასახულია მოკლევადიან მოთხოვნებზე.

ბუღალტრულ საქართველოს საელჩოს მიერ მომდევნო წლის საოფისე იჯარის ავანსის სახით 2020 და 2021 წლებში გადახდილი თანხები ნაცვლად მოკლევადიანი მოთხოვნებისა, შეცდომით ასახულია გრძელვადიან მოთხოვნებზე, რის გამოც „გრძელვადიანი მოთხოვნების“ მუხლის 2021 წლის საწყისი ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 90,524 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 73,801 ლარით.

ინდოეთში საქართველოს საელჩოს ბალანსზე საოფისე იჯარის დეპოზიტის სახით⁴ ირიცხება 33,887 ლარის მოთხოვნა, რომლის არსებობაზე და სისწორეზე ვერ მივიღეთ შესაბამისი მტკიცებულებები.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი დიპლომატიური დაწესებულების მიერ საოფისე ფართის სადეპოზიტო თანხები გადახდილია უცხოურ ვალუტაში, მაგრამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ ხორციელდება მათი გადაფასება საანგარიშგებო ვალუტაში. მართალია, უზუსტობა ჯამურად არ არის მატერიალურად არსებითი,⁵ თუმცა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ფულადი მუხლები გადაყვანილ იქნეს სამუშაო ვალუტაში, საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.⁶

სამინისტროს მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების 2021 წლის საწყისი ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 364,291 ლარით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აპარატის⁷ და ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს⁸ მიერ 2020 წელს განხორციელებული ოპერაციები ნაცვლად საანგარიშოს წინა პერიოდისა, ხარჯებში ჩამოწერილია 2021 წელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 273,767 ლარით, საბოლოო ნაშთის სახით რიცხული 17,875,525 ლარის დავალიანება არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას, გრძელვადიანი ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი 205,818 ლარით შემცირებულად არის წარდგენილი, ხოლო 33,887 ლარის მოთხოვნის არსებობასა და სისწორეზე ვერ მივიღეთ შესაბამისი მტკიცებულებები.

მიზეზი

ხანდაზმული მოთხოვნების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; დებიტორებთან და სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა; დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული ქმედებები; ბუღალტრული აღრიცხვისას ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები.

⁴ 10,940 აშშ დოლარი.

⁵ იაპონიასა და ნორვეგიაში საქართველოს საელჩოების ბალანსზე რიცხული გრძელვადიანი მოთხოვნების ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 17,226 ლარით, ხოლო ჩინეთსა და შვეიცარიაში საქართველოს საელჩოებში შემცირებულია 10,391 ლარით.

⁶ სსბასს 4, პუნქტი 39.

⁷ დიასპორული პროგრამების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პირების მიერ განხორციელებულ აქტივობებზე მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია 2020 წელს, თუმცა ხარჯებში აისახა 2021 წელს.

⁸ გენერალური საკონსულოს 2020 წლის ივნისი-დეკემბრის საოფისე ფართის იჯარის თანხა 2020 წლის ნაცვლად ჩამოიწერა 2021 წელს.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ და „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლებში არსებული უზუსტობები. ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია:

- 1) დიპლომატიურ დაწესებულებებში განხორციელდეს დებიტორული დავალიანებების რეალობის დადგენა, მათი ამოღების ალბათობის შეფასება, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- 2) სამინისტროს ადმინისტრაციულმა და დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტებმა უზრუნველყონ ბენეფიციარების მიმართ რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა ნაშთების ურთიერთშედარება;
- 3) დიპლომატიურმა დაწესებულებებმა მოთხოვნების გრძელვადიან და მოკლევადიან დავალიანებებზე კლასიფიცირებისას გაითვალისწინონ მათი დაფარვის ვადები;
- 4) ინდოეთში საქართველოს საელჩომ უზრუნველყოს დეპოზიტის სახით არსებული მოთხოვნის რეალურობის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- 5) დიპლომატიურმა დაწესებულებებმა ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას ფულადი მუხლები სამუშაო ვალუტაში გადაიანგარიშონ საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო

1.2 ვალდებულებების აღრიცხვა და კონტროლი

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

აპარატის მიერ ვალდებულებების ანგარიშზე არ არის ასახული UNESCO-ს მიმართ რიცხული 2,392,378 ლარის დავალიანება,⁹ საიდანაც გრძელვადიანი ვალდებულება შეადგენს 1,989,690 ლარს, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულება – 402,688 ლარს.

ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლობის ბალანსზე არ არის აღრიცხული ნატოს პარტნიორი ქვეყნების მისიებისთვის განკუთვნილი ახალი შენობის რეკონსტრუქციის დაფინანსების მიზნით საქართველოს მიერ 2020 – 2026

⁹ 772,333 აშშ დოლარი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციაში საქართველოს მიერ სავალდებულო შენატანებს.

წლებში გადასახდელი წლის თანხები 813,103 ლარის ოდენობით,¹⁰ საიდანაც დავალიანების ძირითადი თანხა შეადგენს 767,849 ლარს, ხოლო საპროცენტო ხარჯი – 45,254 ლარს.

იტალიაში, კატიკანსა და ისრაელში საქართველოს საელჩოების ბალანსზე რიცხული 118,008 ლარის ვალდებულებების დაფარვის ალბათობა დაბალია ხანდაზმულობიდან გამომდინარე. საგულისხმოა, რომ კრედიტორებსაც არ აქვთ წარმოდგენილი შესაბამისი მოთხოვნები მათ გადახდაზე. აღნიშნული დავალიანებები სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების ჩართულობით ექვემდებარება საფუძვლიან შესწავლას, დაფარვის რეალურობის ანალიზს და კომისიის მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეაგირებას.

კანადაში საქართველოს საელჩოს მიერ საელჩოს მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები წლის ბოლოს არ არის აღიარებული ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, რის გამოც ვალდებულებების 2021 წლის საწყისი ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი 21,511 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 49,355 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ვალდებულებების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი 1,989,690 ლარით, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები – 334,035 ლარით.

მიზეზი

პირველადი დოკუმენტების არარსებობა; ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; ვალდებულებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „ვალდებულებების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია:

- 1) დიპლომატიურ დაწესებულებებში განხორციელდეს კრედიტორული დავალიანებების რეალობის დადგენა, მათი ხანდაზმულობის ანალიზი და დაფარვის ალბათობის შეფასება;
- 2) აპარატმა და ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლობამ ბუღალტრულად აღრიცხონ UNESCO-ს და ნატოს მიმართ რიცხული ვალდებულებები, შესაბამისად;

¹⁰ ნატოს ახალი ოფისის სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯების დაფინანსებაში საქართველოს წილმა 2020 წელს შეადგინა 302,321 ევრო, რომლის დაფარვა ნატოს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით განხორციელდება 2020-2026 წლებში წლიური 1,94% საპროცენტო ხარჯის გათვალისწინებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელად დარჩენილი იყო ძირითადი თანხა - 219,135 ევრო და პროცენტის სახით - 12,915 ევრო.

) დიპლომატიური დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ფულადი სახსრები ყოველწლიურად საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღირიცხოს ვალდებულებების მუხლზე.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო

1.3 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

2021 წელს 13 დიპლომატიურ დაწესებულებაში¹¹ და სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროში ყოველწლიური ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

მიზეზი

პანდემიით გამოწვეული ეპიდვითარების გამო ინვენტარიზაცია ვერ განხორციელდა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები; აქტივების დაცულობის რისკები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო

1.4 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,¹² ოპერაციები და მოვლენები აღრიცხვაში აისახება დარიცხვის მეთოდით. 2021 წელს საკონსულო მომსახურების გაწევიდან დიპლომატიურ დაწესებულებებს შემოსავლის სახით მიღებული აქვთ 1,504,464 ლარი, ხოლო იუსტიციის სამინისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მომსახურებებიდან – 6,733,133 ლარი.

სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტით, დიპლომატიურ დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია საკონსულო

¹¹ ესპანეთში, მოლდოვაში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, ჩეხეთში, კუბაში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ეთიოპიაში, ინდოეთში, საუდის არაბეთსა და ყაზახეთში – საქართველოს საელჩოები; ჟენევაში გაეროს განყოფილებებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა; ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულო.

¹² მუხლი 7, პუნქტი 1.

მომსახურებიდან და დელეგირებული უფლებასიმოსილების განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლები აღერიცხათ დარიცხვის მეთოდით. მიმდინარე აუდიტის ფარგლებში შერჩევით შესწავლილი 12 დიპლომატიური დაწესებულებიდან, რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული¹³ 5 დიპლომატიური დაწესებულების მიერ.

საგულისხმოა, რომ სამინისტროში არ არის დამტკიცებული ფორმალური პროცესი და დოკუმენტი, რომლითაც დიპლომატიური დაწესებულებები ყოველთვიურად მოამზადებენ ანგარიშს, თუ მოქალაქეების მიერ მიღებული თანხებიდან რამდენია ფაქტობრივად გაწეული მომსახურება და რამდენია მიღებული ავანსი.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით საკასო მეთოდის გამოყენების შედეგად გამოწვეული შეუსაბამოების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო ეფექტის განსაზღვრა.

მიზეზი

ბუღალტრული აღრიცხვისას ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები; არ არის დამტკიცებული ფორმალური პროცესი და დოკუმენტი, რომლითაც დიპლომატიური დაწესებულებები ყოველთვიურად მოამზადებენ ანგარიშს, თუ მოქალაქეების მიერ მიღებული თანხებიდან რამდენია ფაქტობრივად გაწეული მომსახურება და რამდენია მიღებული ავანსი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია:

- 1) დიპლომატიურმა დაწესებულებებმა შემოსავლები აღრიცხოთ დარიცხვის მეთოდით, სამინისტრომ შეიმუშაოს ფორმალური პროცესი და დოკუმენტი, რომლითაც დიპლომატიური დაწესებულებები ყოველთვიურად მოამზადებენ ანგარიშს, თუ მოქალაქეების მიერ მიღებული თანხებიდან რამდენია ფაქტობრივად გაწეული მომსახურება და რამდენი – მიღებული ავანსი.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტრო

1.5 შიდა აღრიცხვის დოკუმენტები

აუდიტის მიგნება

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,¹⁴ დაწესებულება/ორგანიზაცია უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ის როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით სწორად შედგენის კონტროლს. სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგების

¹³ დარიცხვის მეთოდით შემოსავლები არ იყო მომზადებული საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიასა და აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოების და ნიუ-იორკში, საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ.

უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების და წესების განსაზღვრა.

სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკით დამტკიცებული იყო ზოგიერთ ხარჯებზე¹⁵ პირველადი დოკუმენტაციის შედგენის წესი, თუმცა არ იყო შემუშავებული პირველადი დოკუმენტების ფორმა, რის გამოც სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები ერთგვაროვან ოპერაციებზე განსხვავებული ტიპის პირველად დოკუმენტებს იყენებდნენ. შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, ეკონომიკურ მოვლენაზე არ არის შედგენილი შესაფერისი პირველადი დოკუმენტები ან მათში არ არის მითითებული საკმარისი ინფორმაცია ოპერაციების¹⁶ სათანადოდ დასაბუთების მიზნით. ყოველივე ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

მიზეზი

ერთგვაროვან ოპერაციებზე არ არის დამტკიცებული შიდა აღრიცხვის დოკუმენტები.

გავლენა

იზრდება ეკონომიკური მოვლენის დოკუმენტურად დასაბუთებასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

სამინისტროში ერთიანი პრაქტიკის დანერგვის და ხარჯების სათანადოდ დასაბუთების მიზნით, სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ ერთგვაროვან ოპერაციებზე (მაგალითად, მივლინების, წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვ.) სამინისტრომ შეიმუშაოს შიდა აღრიცხვის დოკუმენტების ნუსხა, სადაც ასახული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ხარჯებზე დაწესებული შიდა კონტროლის სისტემების სრულყოფისთვის.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო

1.6 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

ყაზახეთში საქართველოს საელჩომ ვერ წარმოადგინა ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები, რაც ფინანსური მენეჯერის განმარტებით გამოწვეულია იმით, რომ ტექნიკური შეცდომების გამო სპეციალიზებულ სააღრიცხვო სისტემაში არ არსებობს სრულყოფილი და რეალური ინფორმაცია; საელჩომ 2021 წელს ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებზე¹⁷ ასევე ვერ წარმოადგინა სალაროს

¹⁵ მაგალითად, წარმომადგენლობითი ხარჯები.

¹⁶ მაგალითად, იტალიასა და ავსტრიაში საქართველოს საელჩოების მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით მარაგების ხარჯვაზე არ არის წარმოდგენილი ჩამოწერის აქტი; გერმანიასა და ირლანდიაში საქართველოს საელჩოების მიერ მატერიალური მარაგების გახარჯვის აქტში მითითებულია ზოგადი ინფორმაცია - მარაგები გახარჯულია სხვადასხვა ღონისძიებაზე წლის განმავლობაში; აპარატში პასუხისმგებელი პირების მიერ არ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში მარაგების საჩუქრად გადაცემის მტკიცებულებები და აქტივები საწყობიდან გაცემისთანავე ჩამოიწერებოდა წარმომადგენლობით ხარჯებში.

¹⁷ ფინანსური მენეჯერის განმარტებით, 2021 წელს ნაღდი ფულის სახით გამოტანილია 370,000 ყაზახური ტენგე (900 აშშ დოლარის ეკვივალენტი), რომლითაც ანაზღაურებულია როტაციის დასრულებასთან დაკავშირებით თანამშრომელთა ბარგის გადაზიდვის ხარჯები, ვინაიდან ქვეყანაში არსებული შეზღუდვების გამო, შესაძლოა ანგარიშსწორება ვერ განხორციელებულიყო საბანკო ანგარიშით.

შემოსავლისა და გასავლის ორდერები; 2021 წელს საელჩოში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, რაც კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა 2021 წლის 1 აგვისტოდან შეუერთდა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს,¹⁸ თუმცა 2021 წლის ფინანსური ინფორმაცია კონსოლიდაციის ნაცვლად, წარმოდგენილი იყო ორი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების სახით. კონსოლიდაციის პროცედურების დაცვა მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები; აქტივების დაცულობის რისკები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია:

- 1) ყაზახეთში საქართველოს საელჩომ უზრუნველყოს სრულყოფილი ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ასახვა სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში, სალაროს ოპერაციები განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე¹⁹ და ჩაატაროს ყოველწლიური ინვენტარიზაცია;
- 2) დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩომ და საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებების მონაცემების კონსოლიდაცია.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ყაზახეთში საქართველოს საელჩო; დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩო და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში;

1.7 ინფორმაციული უსაფრთხოება

აუდიტის მიგნება

„კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების²⁰ მიხედვით, საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტს.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია განსაზღვროს კონკრეტული პირი (პირები) ან თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც (რომლებიც) პასუხისმგებელია (პასუხისმგებელი არიან) კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებისათვის (ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი).

¹⁸ „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის N306 დადგენილება.

¹⁹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანება.

²⁰ 2014 წლის 29 აპრილის N312 დადგენილება.

2021 წელს სამინისტროში არ იყო განსაზღვრული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. შედეგად, იზრდება სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რისკები.

მიზეზი

მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა შესაბამისი კადრის შერჩევა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური კადრების დეფიციტითა და მოთხოვნილი მაღალი სახელფასო განაკვეთით.

გავლენა

იზრდება სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო

1.8 თარგმნის მომსახურების კონტროლის სისტემები

აუდიტის მიგნება

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა, მასში განსაზღვრული იყოს შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი.²¹ კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.²²

სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს შრომითი ხელშეკრულებებით აყვანილ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ ჰქონდა განსაზღვრული სინქრონული თარგმნის შემთხვევაში ერთი საათის მომსახურების ღირებულება, ხოლო დოკუმენტების თარგმნის შემთხვევაში – ერთი გვერდის/სიმბოლოების ღირებულება.²³ ბიუროს განმარტებით, სინქრონული თარგმნით მომსახურების შემთხვევაში, 1 (ერთი) საათის ანაზღაურება შეადგენდა 318,9 ლარს, ხოლო დოკუმენტების თარგმნის შემთხვევაში – 20,4-21,7 ლარს, სათარგმნი ტექსტების სირთულისა და ოპერატიულობის მიხედვით. აღნიშნული ტარიფების ხელშეკრულებებში გათვალისწინება მნიშვნელოვანია თარჯიმანთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა გამჭვირვალედ და სწორად ანაზღაურებისთვის.

ბიურო უსასყიდლოდ უწევს მომსახურებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. 2021 წელს სამინისტროსთვის²⁴ სინქრონული თარგმნის მომსახურების უზრუნველსაყოფად, ბიუროს მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ორი თანამშრომლისთვის ანაზღაურებული იყო 10,523 ლარი, თუმცა ჩვენთვის ვერ იქნა წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტი, რომლითაც სამინისტრო, როგორც მომსახურების მიმღები, დაადასტურებდა თარჯიმნის

²¹ საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

²² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, „ვ“ ქვეპუნქტი.

²³ შრომითი ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია მხოლოდ ხელშეკრულების საერთო თანხა.

²⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 1 ივლისის N22482-01 და 2 სექტემბრის N30218-01 წერილები.

მიერ ნამუშევარ საათებს.²⁵ ყოველივე ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

გავლენა

შრომით ხელშეკრულებებში ანაზღაურების წესის გამჭვირვალობის ნაკლოვანება; უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების სათანადოდ დასაბუთების ხარვეზები.

რეკომენდაცია

თარგმნის მომსახურების კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურომ შრომით ხელშეკრულებებში მიუთითოს თარჯიმნის მომსახურების შემთხვევაში 1 (ერთი) საათის ღირებულება, დოკუმენტის თარგმნისას 1 გვერდის/სიმბოლოების ღირებულება, ხოლო სამინისტროსთვის თარგმნის მომსახურების გაწევისას სამინისტრომ წარმოუდგინოს თარჯიმნის მიერ ნამუშევარი საათების დამადასტურებელი შესაფერისი მტკიცებულებები.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

²⁵ ანგარიშსწორება განხორციელდა ნამუშევარი 33 საათის მიხედვით, 1 (ერთი) საათის ღირებულება - 318.9 ლარი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 საქონელი და მომსახურება

აუდიტის მიგნება

ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ნატოს პარტნიორი ქვეყნების მისიებისთვის განკუთვნილი ახალი შენობის რეკონსტრუქციის ხარჯები – 717,576 ლარის ოდენობით, სრულად უნდა აღიარებულიყო 2020 წელს, რის გამოც 2021 წელს აღნიშნული თანხით გაზრდილად არის წარდგენილი „საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიერ შენობის მოვლა-შენახვის ხარჯები²⁶ 2021 წელს შეცდომით შემცირებულად არის წარმოდგენილი 77,172 ლარით, შენობის მომსახურე კომპანიისთვის ავანსად გადახდილი თანხებით რიცხული დებიტორული დავალიანების 2021 წლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 58,661 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 1,332 ლარით.

საგულისხმოა, რომ მოთხოვნების 2021 წლის საბოლოო ნაშთი 254,046 ლარის²⁷ ოდენობით არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას, ვინაიდან გახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია მომსახურე კომპანიის მიერ საელჩოს ეგზავნება²⁸ საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში, ანუ მას შემდეგ, რაც საელჩოს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია. შესაბამისად, 2021 წლის ხარჯების აღიარების და დებიტორული დავალიანების ნაშთის შემცირების ოპერაცია აისახება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს მუხლებზე: „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ და „შიდა ტრანზსრებით ხარჯები“ – შეცდომით აქვს აღრიცხული 2021 წელს გადახდილი საგადასახადო ვალდებულებების თანხები, რის გამოც სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აღნიშნული მუხლები 82,884 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლობა; გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო; სსიპ – საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო.

2.2 ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები

აუდიტის მიგნება

ქუვეითში საქართველოს საელჩოს, სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოების მიერ ავტომობილების ლიზინგზე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და გარიგების შინაარსი არ აკმაყოფილებდა სსბასს-ების მიხედვით ფინანსურ იჯარად აღიარების

²⁶ საელჩოს საოფისე ფართი წარმოადგენს მრავალსართულიანი შენობის გარკვეულ ნაწილს. დაწესებულების საერთო საჭიროებების და მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში განთავსებული სუბიექტები შენობის მომსახურე კომპანიის ანგარიშზე ავანსის სახით რიცხავენ თანხებს. აღნიშნული კომპანიის მიერ, ათვისებული თანხების შესახებ ანგარიშგება საელჩოს ეგზავნება საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში. შესაბამისად, საელჩოს მიერ ხორციელდება დებიტორული დავალიანების ხარჯებში ჩამოწერა.

²⁷ 72,502 ევრო.

²⁸ საელჩოს ფინანსური მენეჯერის განმარტება.

კრიტერიუმებს²⁹ და შესაბამისად, ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების ნაცვლად იჯარა უნდა დაკლასიფიცირებულიყო საოპერაციო იჯარად. შედეგად, სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 233,317 ლარით, ხოლო მუხლი „გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით“, ასევე საბოლოო ნაშთი გაზრდილია 195,936 ლარით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ქუვეითში საქართველოს საელჩო; სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოები.

²⁹ სბასს 13, პუნქტი 15.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ვახტანგ პერტაია (ელფოსტის მისამართი: vpertaia@sao.ge)
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE